შპს ანაგი მექანიზაცია

ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს

შპს ანაგი მექანიზაცია

შინაარსი

	გვერდი
მმართველობის პასუხისმგებლობის განცხადება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს:	2-3
მოგების ან ზარალის ან სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულის მოძრაობის უწყისი	7
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	7
3. ახალი და განახლებული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება.	12
4. კრიტიკული საბუღალტრო გადაწყვეტილებები და შეფასების ძირითადი წყაროები	13
5. შემოსავალი	15
6. გაყიდვების ღირებულება	15
7. ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა	16
8. მარაგები	16
9. სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნები	17
10. წინასწარი გადახდა	17
11. ფულადი სახსრები	17
12. სავაჭრო და სხვა გადასახადები	17
13. გადასახდელი დივიდენდები	18
14. ფინანსური ინსტრუმენტები	18
15. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები და საგარეო ბალანსი	21
16. საანგარიშო პერიოდის შემდგომი პერიოდი	21

შპს ანაგი მექანიზაცია

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც კეთილსინდისიერად წარმოადგენს შპს ანაგი მექანიზაციის („კომპანია") ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, კაპიტალისა და ფულადი ნაკადების ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო. სტანდარტების შესაბამისად

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძრვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება;
- ინფორმაციის წარმოდგენა, მათ შორის სააღრიცხვო პოლიტიკის, იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, სანდო, შესადარებელ და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი გამჟღავნების უზრუნველყოფა იმ შემთხვევებში, როდესაც ფასს-ში სპეციფიკური მოთხოვნების დაცვა არასაკმარისია, რათა მომხმარებლებმა გააცნობიერონ კონკრეტული გარიგებების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- თავისი საქმიანობის გაგრძელების კომპანიის უნარის შეფასება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შემდეგზე:

- შიდა კონტროლის ეფექტური და სანდო სისტემის შემუშავება, დანერგვა და შენარჩუნება, მთელი კომპანიის მასშტაბით;
- სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება, რომლებიც საკმარისია კომპანიის გარიგებების წარსადგენად და ასახსნელად და გონივრული სიზუსტით, ნებისმიერ დროს, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გასაჯაროებლად, რაც მათ საშუალებას მისცემს უზრუნველყონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა ფასს-თან;
- ფასს-ის შესაბამისი საბუღატრო აღრიცხვის წარმოება;
- მათთვის ხელმისაწვდომი, გონივრული ზომების მიღება, კომპანიის აქტივების დასაცავად, და
- თაღლითობის და სხვა დარღვევების გამოვლენა და აღკვეთა.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით

ბექა ნუცუბიძე
დირექტორი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

ნატა მუხიგულშვილი
ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	2 024	2023
შემოსავალი	5	6 546 674	5 451 760
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	- 5 604 448	- 4 848 978
მთლიანი მოგება		942 225	602 782
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	- 571 967	- 396 784
			- 37 992
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)		- 9 376	- 17 202
სხვა შემოსავალი / (ხარჯი), ნეტო		- 290 874	- 6 545
ფინანსური აქტივების გაუფასურება		-	
მოგება გადასახადის მიღებამდე		70 009	144 260
მოგების გადასახადი			- 5 585
მოგება მოგების გადასახადის შემდეგ		70 009	138 674
სხვა ყოვლისმომცველი შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი ყოვლისმომცველი შემოსავალი		70 009	138 674

ხელმძღვანელობის სახელით:

შოქა ხუცუბიძე
დირექტორი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

ნატა მუხიგულშვილი
ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

8-23 გვერდებზე გაკეთებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	31.დეკ 2024	31.დეკ 2023
აქტივები			
ქონება, ქარხანა და ტექნიკა	8	5 454 414	4 349 363
მარაგები	9	216 489	260 009
სავაჭრო და სხვა დებიტორული თანხები	10	1 645 880	1 266 856
წინასწარ გადახდა	11	70 329	350 294
ფულადი სახსრები და ფულადი ეკვივალენტები	12	10 442	280 516
გაცემული სესხი		62 686	822 750
წინასწარ გადახდილი გადასახადები			472 150
არამატერიალური აქტივები		432	432
საერთო აქტივები		**7 460 671**	**7 802 370**
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი:			
წესდების კაპიტალი		1 604 423	1 604 423
გადაუნაწილებელი მოგება		1 728 897	354 464
მფლობელთა საერთო კაპიტალი		**3 333 320**	**1 958 887**
გადასახდელი დივიდენდები	14		1 304 424
ვაჭრობისა და სხვა გადასახადები	13	545 900	351 734
მიღებული ავანსები			-
აღებული სესხები		3 500 000	3 500 000
გადასახადები, საშემოსავლო გადასახადის გარდა		81 452	687 325
მთლიანი ვალდებულებები		**4 127 352**	**5 843 483**
მფლობელთა საერთო კაპიტალი და ვალდებულებები		**7 460 671**	**7 802 370**

ხელმძღვანელობის სახელით:

ბექა ნუცუბიძე
დირექტორი

ნატა მუხიგულმვილი
ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

შენიშვნები 8-23 გვრდებზეაღნიშული ფინანსური უწყისის ფორმა, განუყოფელი ნაწილი.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
ბალანსი 1 იანვარი 2023	1,604,423	249 790	1 854 213
წლის მთლიანი ყოვლისმომცველი შემოსავალი	-	138 687	138 674
ცვლილება კაპიტალში	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები		(34000)	(34000)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	1,604,423	354 464	1 958 887
წლის მთლიანი ყოვლისმომცველი შემოსავალი	-	70 009	70 009
ცვლილება კაპიტალში	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები			
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	1,604,423	1 728 897	3 333 320

ხელმძღვანელობის სახელით:

ბექა ნუცუბიძე
დირექტორი

ნატა მუსიგულაშვილი
ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2025

შენიშვნები 8-23 გვრდებზეაღნიშული ფინანსური უწყისის ფორმა, განუყოფელი ნაწილი.

შპს ანაგი მექანიზაცია

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	2024	2023
ფულადი შემოსავლები სავაჭრო მომხმარებლებისგან		8 587 831	8 226 326
მომწოდებლებზე განხორციელებული გადახდები		- 2 434 195	- 4 158 432
თანამშრომლებზე განხორციელებული გადახდები		- 2 580 770	- 2 059 674
ნაღდი ფულის გენერირება ოპერაციების შედეგად		**3 572 866**	**2 008 220**
გადახდილი პროცენტი		- 490 001	- 35 985
ქონების გადასახადი, ქარხანა და დანადგარები		- 1 330 673	- 42 000
საშემოსავლო გადასახადის გარდა სხვა გადასახადები			- 885 659
წმინდა ნაღდი ფულის გენერირება საოპერაციო აქტივობებიდან		**1 752 191**	**1 044 576**
გაცემულ სესხებზე მიღებული პროცენტები		-	-
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო აქტივობები			
გადახდილი დივიდენდები			- 108 800
ძირითადი საშუალებების შეძენა		- 2 022 059	- 686 781
ნაღდი ფული გამოყენებული საინვესტიციო აქტივობებში		**- 2 022 059**	**- 795 581**
წმინა მატება/(შემცირება) ნაღდ ფულში და მის ექვივალენტში		- 269 868	248 994
საკურსო ეფექტი		- 207	- 4 140
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისისთვის		280 516	35 662
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები,პერიოდის დასასრულისთვის	**11**	**10 442**	**280 516**

ხელმძღვანელობის სახელით:

ბექა ნუცუბიძე
დირექტორი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2024

ნატა მუხიგულაშვილი
ბუღალტერი

თბილისი, საქართველო
25 სექტემბერი 2024

შენიშვნები 8-23 გვრდებზეაღნიშული ფინანსური უწყისის ფორმა, განუყოფელი ნაწილი.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ანაგი მექანიზაცია ("კომპანია") იქნა დაფუძნებული 2013 წლის 28 მარტს საქართველოში შპს ანაგის მიერ. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო აღჭურვილობის გაქირავება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მოწილე	31 დეკემბერი 2023 საკუთრება/ ხმის მიცემა %	31 დეკემბერი 2023 საკუთრება/ ხმის მიცემა %
შპს ანაგი	85.0%	60.0%
იბრაჰიმ შალიკაძე	-	25.0%
დავით შალიკაძე	10.0%	10.0%
ჯამბულ შალიკაძე	5.0%	5.0%

კომპანიის სათაო ოფისი და რეგისტრაციის მისამართია ქ. თბილისი მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქ. , N 37-39.

2. მომზადების საფუძველი და ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც გამოცემულია ფინანსური აღრიცხვის ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის დაშვებით, რომ კომპანია მოქმედ საწარმოს წარმოადგენს და ოპერაციებს განჭვრეტად მომავალშიც გააგრძელებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ჩვეულებრივ ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.
რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ფონდი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებელებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გაზომვის და/ან განმარტების მიზნებისათვის რეალური ღირებულება ამგვარ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელიმე კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტრების გარეშე) , რომემელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

საოპერაციო და საპრეზენტაციო ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი და იგი წარმოადგენს კომპანიის, მისი შვილობილი და ასოცირებული საწარმოების საოპერაციო ვალუტასა და იმ ვალუტას, რომელშიც კომპანიას ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაა წარმოდგენილი. ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში მოცემული ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე.

უცხოური ვალუტები. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სუბიექტის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით აღიარებული არამონეტარული ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც რეალური ღირებულება განისაზღვრა. ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში ასახული არამონეტარული ერთეულები არ კონვერტირდება.
მონეტარულ ერთეულებზე საკურსო სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში. ეს არ ეხება საკურსო სხვაობას უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებთან მიმართებაში, რომლებიც სამომავლო წარმოებისათვის შექმნის პროცესში მყოფ აქტივებთანაა დაკავშირებული და ამ აქტივების ღირებულებაში შევიდა, როდესაც ისინი ჩაითვალა ამ უცხოურ ვალუტაში ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯის კორექტირებად.

კომპანიას მიერ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი /1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების მსხვილი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლ ის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება, თუ მომავალში ამ ხარჯიდან ეკონომიკური სარგებლის მიიღება. მცირე მასშტაბის რემონტი ხარჯად აღიარდება ჩატარების მომენტში.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, თუ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ადგენს ამოღებად თანხას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივის რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯის სხვაობასა და მის ხმარებაში არსებულ ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება ამოღებად ნაწილამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ხარჯი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ხარჯი ჩამოიწერება, თუ ადგილი ჰქონდა ცვილებას აქტივის ხმარებაში არსებული ღირებულების ან ზემოაღნიშნული სხვაობის დასადგენად გამოყენებულ თანხებში.

რეალიზაციის მოგება ან ზარალი განისაზღვრება შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯთან ერთად.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით და მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებებზე სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალების კატეგორია	ცვეთის განაკვეთი
მანქანა-დანადგარები	20%
ავტო-ტრანსპორტი	20%
შენობა-ნაგებობები	5%
საოფისე ტექნიკა	20%

მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება მის დასრულებამდე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება განისაზღვრება, როგორც სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანია იმ მომენტში მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან, რეალიზაციის სავარაუდო ხარჯის გამოკლებით, ეს აქტივი ასაკითა და მდგომარეობით სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს რომ შეესაბამებოდეს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მოხმარების ვადა გადაიხედება და კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, ხომ არ არის იმის ნიშანი, რომ აქტივებმა გაუფასურება განიცადა. თუ ამგვარი აღმოჩნდა, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, კომპანია აფასებს ფულადი სახსრების წამომქმნელი იმ ერთეულის ამოღებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ინდივიდუალურ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს რეალურ ღირებულებისა და გაყიდვის დანახარჯების სხვაობასა და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე ისეთი გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები, რომლისთვისაც სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო მნიშვნელობის კორექტირება არ მომხდარა.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ

გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები დგინდება ძალაში საანგარიშო დღეს სრულად ან ნაწილობრივ ძალაში შესული ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალში იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მისი აღიარება ხდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში, რადგან ისეთ ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ასევე აღიარებულია პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში იმავე თუ სხვა პერიოდში.

მიმდინარე გადასახადი არის ის თანხა, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი განისაზღვრება სავარაუდოდ, თუ ფინანსური ანგარიშების ავტორიზება ხდება საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. სხვა გადასახადები აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. კომპანიას მიმდინარე გადასახადის ვალდებულება იანგარიშება, როგორც თითოეული ინდივიდუალური პირის საგადასახადო ვალდებულებათა ჯამი.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. სამომავლო მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (დღეს მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხება იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩება თუ დივიდენდების სახით გაიშვება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. *მიმდინარე გადასახადი* არის ის თანხა, რაც კომპანიამ უნდა გადაიხადოს ან აღიდგინოს მიმდინარე და წინა პერიოდებში მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება იმას, არის თუ არა ფინანსური ანგარიშები დამტკიცებული საგადასახადო დეკლარაციების შევსებამდე. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

კომპანია აკონტროლებს იმ დროებითი სხვაობების აღდგენას, რომლებიც შვილობილი საწარმოებიდან მიღებულ დივიდენდებთან ან მათი რეალიზაციისას მიღებულ მოგებასთანაა დაკავშირებული. კომპანია არ აღიარებს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს ამგვარ დროებით სხვაობებზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობის აზრით, დროებითი სხვაობები განჭვრეტად მომავალში აღდგენას დაექვემდებარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილება ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას ზოგიერთ ტრანზაქციაზე, რომლებიც მოგების განაწილებათ ითვლება, მაგალითად, ტრანზაქციებზე, რომლებიც ხორციელდება არასაბაზრო ფასებით, ისეთ ხარჯებზე, რომლებიც ბიზნესთან დაკავშირებული არ არის, ან საქონლის ან მომსახურების უფასოდ მიწოდებაზე. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 „მოგების გადასახადებით" არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადების მსგავსად, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, ტრანზაქციის განხორციელების მომენტში; თანხის ანაზღაურება, თუ ასეთი მოხდა, აღირიცხება აქტივად, თუ ანაზღაურება ფაქტობრივად გარდაუვალია.

კომპანია შემოსავლების სამსახურიდან მისაღებ საგადასახადო აქტივს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღიარებს არარეზიდენტებზე გაცემულ სესხებზე ამ არარეზიდენტი პირის რეგისტრაციის ქვეყანაში გადასახადის გადახდისას.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ გადაიხდება კლიენტებისათვის საქონლის მიწოდების მომენტში. დღგ-ის ჩათვლა ჩვეულებრივ ხდება საგადასახადო ფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანო იძლევა დღგ-ის ურთიერთჩათვლის საშუალებას. შესყიდვებთან და გაყიდვებთნ დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშში აღიარებულია ურთიერთჩათვლის საფუძველზე კომპანიაში შემავალი თითოეული კომპანიისათვის და განისაზღვრება როგორც აქტივი ან ვალდებულება. მოთხოვნებზე გაუფასურების რეზერვის არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ტარდება დებიტორის მთლიან თანხაზე, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება ღირებულების ან წმინდა სარეალიზაციო ღირებულებიდან უმცირესით. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისა და მიმდინარე ადგილას გადატანისა და არსებულ მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. წმინდა

სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მარაგების საპროგნოზო გასაყიდ ფასს, რომელსაც გამოკლებული აქვს მათი დასრულებისათვის საჭირო გაყიდვის ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ქვემოთ აღწერილი წესით:

ტრანზაქციის ხარჯები ის მზარდი ხარჯებია, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეძენასთან, ემისიასთან ან რეალიზაციასთან. მზარდია ის ხარჯი, რომელიც გაიწეოდა, ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის გაყიდვის აგენტებად მოქმედი თანამშრომლებისთვის), მრჩევლებისთვის, ბროკერებისა და დილერებისათვის გადახდილ საკომისიოს, მარეგულირებელ სამსახურებში და ბირჟებზე გადახდილ მოსაკრებლებს, აგრეთვე ქონების გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს სესხის პრემიუმებსა და ფასდათმობებს, დაფინანსების ხარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ-ჰოლდინგურ ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და მთავარ თანხაზე პრემიუმებისა თუ ფასდათმობების ამორტიზაციას, რომელიც ირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდათმობა ან პრემიუმი (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისოები) ინდივიდუალურად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების კომპანიას) ამორტიზირებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის გადათვლის შემდგომ დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიუმებზე და ფასდათმობებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიუმები და ფასდათმობები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი სავარაუდო მოქმედების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა ურთიერთ გადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ფინანსური აქტივები. კომპანიას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სესხებისა და მოთხოვნების" კატეგორიაში.

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებადი ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე. ისინი შედის მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაფარვის ვადა საანგარიშო დღის შემდეგ 12 თვეს აღემატება. ასეთი აქტივები გრძელვადიანად კლასიფიცირდება.

კომპანიას სესხები და მოთხოვნები მოიცავს სამშენებლო მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, ბანკებში ვადიან დეპოზიტებსა და ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულს ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის თავდაპირველი ვადით. ფული და ფულის ექვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ხარჯი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც იგი გაიწევა ერთი ან მეტი ისეთი მოვლენის შედეგად, რაც მოხდა ფინანსური აქტივის თვდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელმაც ზეგავლენა იქონია ფინანსური აქტივის ან მისი კომპანიას სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობასა და დროზე, თუ ამ ორის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი. თუ კომპანიამ გადაწყვიტა, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივი, მისი მნიშვნელობის მიუხედავად, გაუფასურდა, კომპანიას ეს აქტივი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების კომპანიაში და ჯგუფურად ამოწმებს მათ გაუფასურებას. ძირითადი ფაქტორები გაუფასურების ხარისხის დადგენისას არის ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზაციის შესაძლებლობა. გაუფასურების მტკიცებულების დასადგენად აგრეთვე იყენებენ სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, როგორებიცაა:

- აქტივის ნაწილი ვადაგადაცილებულია და გადახდის დაგვიანება ვერ აიხსნება ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეული შეყოვნებით;
- კონტრაგენგი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, რაზეც მოწმობს კომპანიას მიერ მიღებული ფინანსური ინფორმაცია;

- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილების შედეგად, კონტრაგენტის გადახდისუუნარობა გაუარესდა; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა გაუარესებული საბაზრო პირობების გამო.

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები ხელახლა შეთანხმა ან სხვაგვარად შეიცვალა კონტრაგენტის ფინანსური სირთულეების გამო, პირობების შეცვლამდე გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების ხარჯის აღიარება ყოველთვის ხდება რეზერვის ანგარიშით და აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე დადის (ამ უკანასკნელიდან გამოკლებულია ჯერ არგაწეული სამომავლო საკრედიტო დანაკარგები), რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება ის ფულადი ნაკადები, რომლებიც კომპანიამ შეიძლება მიიღოს საკონტრაქტო საქონლის შენარჩუნებით, უზრუნველყოფის მიღება-გაყიდვის ხარჯის გამოკლებით, იმის მიუხედავად, რეალურია თუ არა საქონლის შენარჩუნება.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ხარჯის ოდენობამ დაიკლო და ეს კლება ობიექტურად შეიძლება მიეწეროს გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარ მოვლენას (მაგალითად, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ხარჯი აღდგება და სარეზერვო ანგარიში შესწორდება მოგება-ზარალის მეშვეობით. ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი რეზერვის მიმართ ამოღების ყველა პროცედურის დასრულებისა და ზარალის ოდენობის დადგენის შემდეგ. უკვე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება აღირიცხება წლის მოგება-ზარალის გაუფასურების ზარალის ანგარიშში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანიას ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც (ა) აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ კომპანიამ სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, იმავდროულად (1) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან (2) ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს ეყრდნობა.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს რეგულირებით ან საბაზრო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში აქტივის მიწოდებას (ანუ „ჩვეულებრივი" ყიდვა-გაყიდვა) აღირიცხება ვაჭრობის დღეს, ანუ იმ დღეს, როდესაც კომპანია მხარეს მიაწვდის ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც კომპანია ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე ხდება.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობას კომპანიას წესდება განსაზღვრავს. მისი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ კომპანიას მფლობელის გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ საწესდებო კაპიტალად, თუ იგი კომპანიას მფლობელის შენატანის შედეგია.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები ახსნილია „შემდგომი მოვლენების" ქვეთავში.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდია, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს.

შემოსავლის აღიარება. *კომპანია შემოსავალს იღებს* სამშენებლო ტექნიკის საოპერაციო იჯარიდან. *იჯარიდან* მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების მიწოდების შემდეგ.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტს, გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს და საკურსო მოგებასა და ზარალს, რომლებიც ნასესხები სახსრებიდან და ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან გამომდინარეობს.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

3. ახალი და განახლებული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება.

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო და გამოიყენა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- ***ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა*** - მე-2 ფაზა (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - მე-2 ფაზა (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)" ისეთ პრობლემებზე მიმართული შესწორებებით, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შემდეგ, ალტერნატიული ამოსავალი განაკვეთებით ჩანაცვლების ჩათვლით. შესწორებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

მე-2 ფაზის შესწორებების მიხედვით:

როდესაც კომპანიის საბანკო სესხების საკონტრაქტო პირობები იცვლება და ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა, ხოლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია პროსპექტიულად ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დადგენის საფუძველს და ამისათვის აკორექტირებს მოქმედ საპროცენტო განაკვეთს.

თუ ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად მოხდა იჯარის მოდიფიცირება და საიჯარო გადახდების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, რათა ასახოს კორექტირებული და ახალი დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებული საიჯარო გადახდები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი საფუძვლის ცვლილება.

აღნიშნული შესწორებების გამოყენება კომპანიას საშუალებას აძლევს, ბანკთაშორისი განაკვეთებიდან ალტერნატიულ ამოსავალ საპროცენტო განაკვეთებზე (იგივე „ურისკო განაკვეთები") გადასვლის ეფექტი ისე ასახოს აღრიცხვაში, რომ ამით არ გამოიწვიოს სააღრიცხვო ეფექტი, რაც არ მისცემდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს მისთვის სასარგებლო ინფორმაციას. კომპანიას წინა პერიოდის გადაფასება არ გაუკეთებია.

- ***კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა*** 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)", რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწყვიტა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

კომპანიის მმართველობამ განიხილა აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მათი მოქმედება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე უმნიშვნელოა.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს სტანდარტებს:

ახალი ან რედაქტირებული სტანდარტი ან ინტერპრეტაცია	ძალაშია შემდეგ თარიღში ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის
ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ფასს 4 - სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებად (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	1 იანვარი 2023
საღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება (შესწორება სტანდარტში ბასს 8)	1 იანვარი 2023
საღრიცხვო პოლიტიკების განმარტება - (შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)	1 იანვარი 2023
მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (შესწორება სტანდარტში ფასს 3)	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – „ძმიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი“	1 იანვარი 2022
შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 - სოფლის მეურნეობა და ბასს 16 - იჯარა სტანდარტზე დართული საილუსტრაციო მაგალითები	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 12 - ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.	თარიღს დაადგენს ბასსს

კომპანია არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

4. კრიტიკული საბუღალტრო გადაწყვეტილებები და შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანია ვარაუდობს და აკეთებს დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები გადაიხედება რეგულარულად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში სავარაუდოდ გამოიყურება.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ხელმძღვანელობა აგრეთვე იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ქვემოთ მოცემულია ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. კომპანია ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს განიხილავს მსგავს აქტივებზე არსებული გამოცდილების მიხედვით. აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებით მოიხმარება. თუმცა, ასევე ითვალისწინებენ სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, ტექნიკურ და კომერციულ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას, ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო მოხმარების ვადას აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობით და იმ სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივები კომპანიასთვის სარგებლის მომტანი იქნება. ძირითადი ფაქტორებია: (ა) აქტივის გამოყენების ფორმა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული დაძველება, რომელიც ბაზრის პირობებიდან გამომდინარეობს.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიას გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები თითოეულ საანგარიშო დღეს გადაიხედება. ვალდებულებები აღირიცხება იმ მოგების გადასახადის პოზიციებისათვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებად შენარჩუნებადი იქნება საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იმ ინტერპრეტაციების საფუძველზე, რომლებიც არსებითად თუ სრულად ძალაში იქნება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღეს. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულება აღიარდება ხელმძღვანელობისეული სავარაუდო ხარჯის მიხედვით, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშო დღეს ამ ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები სავარაუდოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება
კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ყველა სავალო ინსტრუმენტზე. მსზ ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის თანახმად მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფლობილი უზრუნველყოფის თუ კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული სხვა კრედიტის გამაძლიერებლების გაყიდვით მიღებულ ფულად ნაკადებს.

მსზ-ის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც მომდევნო 12-თვიან პერიოდში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (12-თვიანი მსზ). ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც რისკის პოზიციის მთლიანი არსებობის მანძილზე შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (მსზ არსებობის მანძილზე). კომპანია 12-თვიან მსზ-ს აღიარებს ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში.

სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსზ-ის გამოსათვლელად გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას და ამის ნაცვლად ზარალის თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რეზერვს აღიარებს არსებობის მანძილზე მსზ-ის საფუძველზე. კომპანიას აქვს რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და კორექტირდება ფორვარდული, მსესხებელთა და ეკონომიკური გარემოსათვის სპეციფიური ფაქტორებით.

მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ საწყისი აღიარების შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა ზედმეტ ხარჯსა და ძალისხმევას მოითხოვს. კომპანიამ განსაზღვრა სრული მსზ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსზ, რომელიც მიიღებოდა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ციკლის განმავლობაში (მე-2 და მე-3 ეტაპები). დეფოლტის ალბათობის დასადგენად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიღებულ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. მსზ-ის ოდენობა სხვა მოთხოვნებზე გამოითვლება ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების
გამოყენებით. საექსპერტო შეფასების აუცილებლობა მართებულად ჩაითვალა ისეთი ისტორიული ინფორმაციის არარასებობის გამო, რაც საშუალებას მისცემდა კომპანიას, შეექმნა რეზერვირების მატრიცა. გაუფასურების განაკვეთები პერიოდის მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომლის ამოღება, კომპანიის აზრით, შეუძლებელია - ანუ ამოუღებადია.

ყველა შემთხვევაში, კომპანია თვლის, რომ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

მოძველებული მარაგების რეზერვი - ტექნოლოგიისა და მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილების შედეგად მოძველებული, აგრეთვე გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით.

5. შემოსავალი

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის შემოსავალი შედგებოდა შემდეგისგან:

	2024	2023
შემოსავალი სამშენებლო ტექნიკის გაქირავებიდან	6,546,674	5,451,760
ჯამი	**6,546,674**	**5,451,760**

6. გაყიდვების ღირებულება

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგისგან:

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	958,640	830,320
სახელფასო ხარჯები	2.882.668	2,332,762
მარაგების ღირებულება	1,373,996	1,450,237
მომსახურების ღირებულება	384,060	227,390
ქირის ხარჯი	5,085	8,269
ჯამი	**5,604,448**	**4,848,978**

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

	2024	2023
სახელფასო ხარჯები	436,999	345,536
ცვეთა და ამორტიზაცია	,0	1 831.00
მომსახურების ხარჯები	128,632	48,050
საბანკო ხარჯი	6,336	1,367
ჯამი	**571,967**	**396,784**
	-	-

8. ქონება, ქარხანა და აღჭურვილობა

ქონების, ქარხანის და აღჭურვილობის მოძრაობა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისთვის:

	აპარატურა	მანქანები	საოფისე აღჭურვილობა	ჯამი
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარი	**4113,578**	**8014,960**	**14,443**	**12142,980**
დამატებები	638,256	1593,850	2,401	2234,506
აქტივების განკარგვა	(27,917)	- 234 691	-	(262,608)
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	**4723,916**	**9374,118**	**16,843**	**14114,878**
დამატებები	818,888	1242,396	2,407	2063,692
ტრანსფერი				,0
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერი	**5542,805**	**10616,515**	**19,250**	**16178,570**
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 1 იანვარი	**3690,144**	**5436,074**	**9,617**	**9135,834**
ცვeთა წლის განმავლობაში	141,766	688,576	1,808	832,151
ცევთის შემცირება გაყიდვაზე		(202,469)	-	- 202 468.77
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერი	**3831,910**	**5922,181**	**11,425**	**9765,516**
ცევთა წლის განმავლობაში	201,476	755,192	1,971	958,640
ცევთის შემცირება გაყიდვაზე				,0
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერი	**4033,387**	**6677,373**	**13,396**	**10724,156**
წმინდა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	**892,006**	**3451,938**	**5,418**	**4 349,362**
წმინდა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერი	**1509,418**	**3939,142**	**5,854**	**5 454,414**

9. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალა	216,489	260,009
ჯამი	216,449	260,009

10. სავაჭრო და სხვა სახის მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,650,685	1,430,175
თანამშრომლების მიზეზით	8,315	8,315
რეზერვები:	(4,805)	(171,633)
ჯამი	**1,645,880**	**1,266,856**

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს ნებისმიერ ცვლილებას სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხში კრედიტის თავდაპირველი გაცემის დღიდან საანგარიშო თარიღამდე.

11. წინასწარი გადახდა

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
წინასწარი გადახდები მომწოდებლებისთვის	70,329	350,294
ჯამი	**70,329**	**350,294**

12. ფულადი სახსრები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში	10,442	280,516
ჯამი	**10,442**	**280,516**

13. სავაჭრო და სხვა გადასახადები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო გადასახადები მომსახურებისთვის	239,715	155,446
სავაჭრო გადასახადები ქონებისთვის, ქარხანა და დანადგარები	-	-
ხელფასები	306,186	196,288
ჯამი	**545.900**	**351,734**

14. გადასახდელი დივიდენდები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს ანაგი	-	1,304,424
ჯამი		1,304,424

15. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების გაზომვა-სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ღირებულებას, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივების რეალიზაციიდან ან უნდა იქნეს გადახდილი ვალდებულების შესრულების მიზნით, ჩვეულებრივი ტრანზაქციის გამოყენებით ბაზრის წარმომადგენელთა შორის შესაბამის თარიღში. სამართლიანი ღირებულება ფინანსური ინსტრუმენტებისა უნდა იქნეს განსაზღვრული კომპანიის მიერ, რომელიც უნდა ფლობდეს შესაბამის ინფორმაციას ბაზრის ტაობაზე, იქ სადაც ის ახორციელებს საქმიანობას და უნდა გამოიყენოს შესაბამისი მეტოდოლოგია. გარდ ამისა, შეფასებების გაკეთებ არის მნიშვნელოვანი, იმისათვის რომ ზედმიწევნით იქნეს შესწავლილი ბაზარი, მონაცემები და სამართლიანი ღირებულება. საქართველო აგრძელებს სხვადასხვა სახის მახასიათებლებზე მუშაობას რაც დაკავშირებულია ბაზართა და ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რაც საშუალებას იძლევა აქტივობის მოცულობის ლიმიტირებისა ფინანსურ ბაზარზე. ბაზრის თაობაზე ინფორმაცია შესაზლოა იყოს მოძველებული, ან არ ასახავდეს რეალურ სიტუაციას გაყიდვების ჭრილში და შესაბამისად არ იყოს მისაღები სამართლიანი ღირებულების განსახილველად. მენეჯმენტი ვალდებულია გამოიყენოს ყველა სახის ხელმისაწვდომი ინფორმაცია ბაზრის თაობაზე, რათა იქნეს განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება და ვალდებულებები არის წარმოდგენილი მე-3 დონის კატალოგში და შემუშავდა ქვემოთ მოცემული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივები ამორტიზაციის ღირებულების გათვალისწინებით -ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთია სამართლიანი ღირებულება ეფუძნება სამომავლო გათვლებს ნაღდ ფულთან მიმართებაში, რომელიც უნდა იქნეს მიღებული დისკონტირების საფუძველზე არსებული საპროცენტო განაკვეტის გათვალისწინებით ახალი ინსტრუმენტების ჭრილში მსგავსი საკრედიტო რისკითა და დარჩენილი სასიცოცხლო ციკლის ვადის განმავლობაში. დისკონტირების განაკვეთი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული დამოკიდებულია საკრედიტო რისკზე. მშენებლობის, ვაჭრობისა და სხვა ვალებულებების ჭრილში, როგორიც არის გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები უტოლდება სამართლიან ღირებულებას გამომდინარე მათი მოკლევადიანი სასიცოცხლო ციკლიდან.

ვალდებულებები ამორტიზაციის ღირებულების გათვალისწინებით- ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულება დადგენილი სასიცოცხლო ციკლიის განმავლობაში ეფუძნება მოსალოდნელ ნაღდი ფულის დისკონტირებას არსებული საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით ახალი ინსტრუმენტების ჭრილში მსგავსი საკრედიტო რისკისა და სასიცოცხლო ციკლისთვის გამოყოფილი ვადის ამოწურვამდე. კომპანიის მენეჯმენტის შეხედულებით, ფინანსური ვალდებულებები, რაც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში უტოლდება სამართლიან ღირებულებას.

კაპიტალის რისკის მართვა–კომპანია ახორციელებს საკუთარი კაპიტალის მენეჯმენტს, რაც მას საშუალებას აძლევს მიიღოს მაქსიმალური მოგება ოპტიმიზაციის განხორციელებით ვალთან მიმართებაში და კაპირალის ბალანსის წარდგენით. კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად. აღნიშნული შესწავლის შედეგად, კომპანია ახორციელებს ქმედებებს კაპიტალის სტრუქტურის დაბალანსების მიმართულებით. ახორციელებს დივიდენდების გადახდას, ისევე როგორც ახალი სესხების მირებას და მიმდინარე სესხების გამოსყიდვას.

წლის ბოლოს დაფიქსირებული სესხზე დამოკიდებულების განაკვეთი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გადასახდელი დივიდენდები	-	1,304,424
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	(10,442)	(280,516)
წმინდა სესხები	(10 442)	1,023,907
კაპიტალი	3.333.319	1,958,886
წმინდა ვალი კაპიტალთან თანაფარდობაში	0%	52%

ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი კატეგორიები–კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები, სესხები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებია. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების წარმოქმნის მიზეზს წარმოადგენს კომპანიის ოპერაციული ნაწილის გაძლიერება. კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური აქტივები: ნაღდი ფული, დებიტორული დავალიანებები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები და სხვა ვალდებულებები, რომელზიც წარმოიშვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ჭრილში.

	31.დეკ 2024	31.დეკ 2023
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	(10,442)	(280,516)
სავაჭრო და სხვა დებიტორული სახსრები	1645,880	1266,856
ფინანსური სახსრები სრულად	**1635,438**	**986,340**

	31.დეკ 2024	31.დეკ 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა გადასახადები	545,900	351,734
გადასახდელი დივიდენდები/სესხები		1304,424
ფინანსური ვალდებულებები სრულად	**545,900**	**1656,158**

ძირითადი რისკი კომპანიისთვის წარმოიშვება უცხოური ვალუტის გამოყენების დროს, როდესად ფიგურირებს საპროცენტო განაკვეთი, კრედიტი და ლიკვიდურობის რისკი.

უცხოური ვალურის რისკი–რისკი წარმოადგენს როსკს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ რეზულტატზე. აღნიშნული შესაძლოა იქნეს გამოწვეული გაცვლითი კურსის ცვლილებით იქიდან გამომდიინარე, რომ კომპანია ტავისის საქმიანობის ჭრილში იყენებს უცხოურ ვალუტას. კომპანიიის ხელთ არ არსებობს არანაირი მექანიზმი, რომელიც მას ტავიდან ააცილებს უცხოური ვალუტის ბრუნვის შედეგად რისკის დადგომის საკითხს.

2024 და 2023 წლების საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის კომპანია არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს რომლებიც დენომინირებული უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი–საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფინანსური შედეგის ცვლილება. კომპანია შეზღუდულია საპროცენტო განაკვეთის ლავირების მიმართულებით და შესაბამისად დგას რისკ ფაქტორის წინაშე, რადგან უწევს ფულადი სახსრების მოზიდვა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

<u>შეზღუდვები ანალიზის ჭრილში</u>

ზემოთ მოყვანილი ცხრილი ახდენს ცვლილების ეფექტის დემონსტრირებას ძირითად საკითხებთან მიმართებაში, მაშინ როდესაც სხვა საკითხები რჩება უცვლელი. რეალურად, არსებობს კორელაცია ვარაუდებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სენსიტიური საკითხებბი არ არის სწორხაზოვანი, არ გააჩნია ერთნაირი მიდგომა და არ აქვს ერთნაირი ზეგავლენა შედეგთან მიმართებაში.

სენსიტიური ანალიზის ჭრილში არ განიხილება შეხედულებები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც მოქცეულია აქტიური მენეჯმენტის ჭრილში. დასასრულს, ფინანსური პოზიცია კომპანიისა შესაძლოა მერყეობდეს დროის ჭრილში და არსებულ ბაზართან მიმართებაში, სადაც დროდადრო მიმდინარეობს ცვლილებები. მაგალითად, კომპანიის სტრატეგია ფინანსური რისკის მართვასთან მიმართებაში მიმართულია ბაზარზე არსებული რყევების დასარეგულირებლად. იქიდან გამომდინარე, რომ საინვესტიციო ბაზარი ვითარდება სწრაფი ტემპებით , გასათვალისწინებელი ხდება არა ერთი ფაქტორი, მენეჯმენტის ქმედებები მოიცავს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორთფელის შეცვლას და შესაბამისი დამცავი მექანიზმების ამოქმედებას. შესაბამისად, განხორციელებული ცვლილების შედეგი შესაძლოა არ იყოს გამოკვეთილი ვალდებულებების ჭრილში, რომლის დროსაც, აქტივები არის წარმოდგენილი ბაზრის ღირებულების შესაბამისად ბალანსის ანგარიშში. აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის ღონისძიებები უნდა იქნეს გატარებული ვალდებულებებისა და აქტივების ჭრილში, რაც საბოლოო ჯამში დასრულდება აქციონერთა კაპიტალის არასტაბილურობით.

სხვა შეზღუდვები ზემოთხსენებულ სენსიტიურობასთან მიმართებაში განიხილავს ჰიპოთეტური ბაზრის მოძრაობებს, რათა მოხდეს პოტენციური რისკის დემონსტრირება, რაც გამოხატავს კომპანიის შეხედულებას მოსალოდნელ სამომავლო ცვლილებებთან მიმართებაში ბაზრის ჭრილში, რომელიც არ არის შესაზლებელი იქნეს წინასწარ ზუსტად დადგენილი; და ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ყველა სახის საპროცენტო განაკვეთი იმოძრავებს იდენტური მიმართულებით.

საკრედიტო რისკისაკრედიტო რისკი , რომელიც შესაზლოა იქნეს გამოწვეული მომხმარებლის მიზეზით, ან კომპანიის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულებებიდან გამომდინარე კონკრეტული დროის მონაკვეთში, კომპანიის დააყენებს ფინანსური ზარალის წინაშე.

ფინანსური აქტივების რაოდენობა, რაც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არის თავის მხრივ წმინდა გაუფასურების ზარალის ჭრილში, წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს მაქსიმალური გამოხატულებით. ყველა კლიენტი წინასწარ გადის კლიენტის მიღების პროცედურას მანამ, სანამ არ იქნება ფორმირებული შეთანხმება კომპანიასთან. შესაბამისად მხოლოდ გადახდისუნარიანი კლიენტები ერთვებიან პროცესში. კომპანია ასევე აქვეყნებს კრედიტის ლიმიტებს მომხმარებლისთვის.

ლიკვიდურობის რისკი–ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომლის დროსაც შეუძლებელი ხდება ვალდებულებების შესრულება.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს კომპანიისთვის მასზე დაკისრებული ვალდებულებებისთვის დარცენილი ვადის ოდენობას, რაც წინასწარ არის შეთანხმებული და განისაზღვრება 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული ცხრილი იქნა შემუშავებული არა დისკონტირებული ფულადი სახსრების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან და თავის მხრივ ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ თარიღში გადასახადის გადახდას. აღნიშნული არა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადი იმ რაოდენობასთან რაც წარმოდგენილია ფინანსური პოზიციონირების ანგარიშგებაში, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ოდენობა ემყარება დისკონტირებულ ფულადი სახსრების ნაკადს.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5+ წელი	ჯამი
31 დეკემბერი 2024						
სავაჭრო და სხვა ვალცებულებები	545,900	-	-	-	-	545,900
დივიდენდები		-	-			
		-	-	-	-	
	545 900					**545 900**
31 დეკემბერი 2023						
სავაჭრო და სხვა ვალცებულებები	351,734	-	-	-	-	351,734
დივიდენდები		-	-			
		-	-	-	-	
	351 734					**351 734**

16. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები და საგარეო ბალანსი

დაკავშირებულ მხარეებში განიხილებიან დამფუძნებლები, სუბიექტები, რომელთაც გააჩნიათ საეღტო ვალდებულებები და ფლობენ კონტროლის მექანიზმს კომპანიის ჭრილში. ასევე მენეჯმენტი.

დაკავშირებული მხარეები შესაძლოა იყვნენ ჩართულები ტრანზაქციებში, რომელთანაც წვდომის უფლება არა აქვთ არა დაკავშირებულ მხარეებს, რომელთაც არ შეუძლიათ ქმედებების განხორციელება იგივე პირობებისა და წესების გათვალისწინებით ტრანზაქციების ჭრილში არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

დაკავშირებული მხარის ურთიერთობის ჭრილში, ნებისმიერი მხარე, წარმოადგენს პროცესში ჩართულ მხარეს არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმით. კომპანიას გააჩნია შესაბამისი ბალანსი და ტრანზაქციები, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ მხარეებთან:

31.დეკ.24	მფლობელები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები	სხვა	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	1645,880	-	-	1645,880
გადასახდელი დივიდენდები				
შემოსავალი	6546,674	,0	-	6546,674
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(545,900)	-	-	(545,900)

31.დეკ.23	მფლობელები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები	სხვა	ჯამი
სავაჭრო მოთხოვნები	1266,856	,0	-	1266,856
გადასახდელი დივიდენდები				
შემოსავალი	4801,367	650,393	-	5451,760
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(351,734)	-	-	(351,734)

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი პერიოდი

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვანი პირობები არ არის გათვალისწინებული.